ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯუმბერ ინასარიძის წლიური ანგარიში

ახალციხის საკრებულოში ვარ 2025წლის 10 ოქტომბრიდან, საკრებულოში მოვხვდი პოლიტიკური გაერთიანება - ,,ძლიერი საქართველო-ლელოს" პარტიული სიით. გაცდენილი მაქვს ერთი სხდომა -საპატიო მიზეზით.

ჩემს მიერ საკრებულოს პირველივე სხდომაზე გაკეთდა მიმართვა საკრებულოსადმი, რათა საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში შეგვექმნა სამუშაო ჯგუფი ახალციხის მუნიციპალიტეტში ბოლო ხუთ წელიწადში არსებული სავარაუდო კორუფციის გამოსავლენად, რადგან ამავე პერიოდში საქართველოს დეფაქტო მთავრობამ „სასტიკი" ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას, რის შედეგადაც მინისტრები, მათი მოადგილეები და თვით პრემიერ-მინისტრიც ამხილეს და ციხეში ჩასვეს

ჩემი წინადადება არა თუ განიხილეს და უარყვეს არამედ განსახილველ საკითხებშიც არ შეიტანეს და ეს გააკეთა მთელმა საკრებულომ ერთხმად.

საკრებულოს შემდეგ სხდომაზე ჩემს მიერ საკრებულოსათვის შეთავაზებული იყო განგვეხილა და ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლების დაწყებით კლასწებში დაგვენერგა უფასო კვების სისტემა. რადგან ეს არის მსოფლიოს გამოცდილება და საქვეყნოდ ცნობილია, რომ მშიერი ბავშვის აკადემიური მოსწრება რამოდენიმეჯერ ნაკლებია. ეს საკითხი ჩვენმა პარტიამ დანერგა და განახორციელა წალენჯიხის რაიონის სკოლებში და ამგვარად მე შევთავაზე გამეზიარებინა ყველა ის გამოცდილება რაც ჩვენ გვაქვს ამ საკითხის გარშემო.

საკითხი გასახილველადაც არ შევიდა და ამის წინააღმდეგი წავიდა მთელი საკრებულო ერთხმად.

საკრებულოს წევრი : ჯ. ინასარიძე.

30.10.26